ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2846519

ნომერი: AR1441454

თარიღი : 16.09.2016

გაცემის თარიღი : 20.09.2016

გაცნობის თარიღი : 20.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 77 , (ნაკვ. 023/079) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით სივსივაძე პ/ნ 38001031734
- საჩხერე რ.ჯაფარიძის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ეს საკითხი გავიარე იურისტთან.....ჯერ ხარვეზებს დავუდგენ და მერე განიტან საბჭოზე, სპეცზ-1-შია და ჯიხურს ანთავსებს.....

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, შემდეგს:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკადასტრო გეგმაზე დატანილ იქნას როგორც საპროექტო ღობისა და ჯიხურის ზუსტი განთავსების ადგილი, ასევე სამსახურის მიერ AR1137796 განცხადებით შეთანხმებული ღობისა და ჯიხურის ზუსტი განტავსების ადგილი შესაბამისი მინაწერით.
- საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით. საჭიროა წარმოადგინოთ იპოთეკარის "ოვერსის პრაივიტ ინვესტმენტ კორპორეიშენი"-ს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.
- აღნიშნულ ობიექტზე ფიქსირდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შემოწმების აქტი #001570 02.09.16წ. აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი აქტი და ჯარიმის გადახდის ქვითარი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.